საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2018 წლის 08 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №119/17
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინურ დევნის შეწყვეტის თაობაზე

--- (წარმომადგენელი, --- დირექტორი) 2017 წლის 05 ივლისის --- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 20 აპრილის №119/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 მაისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 15 მაისს მიიღო გადაწყვეტილება (№119/17-1), მოსამართლე --- მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე.

1. **საჩივრებში მითითებული ფაქტები:**

საჩივრის ავტორის განცხადებით, მან, როგორც --- ის დირექტორმა, 2016 წლის 03 თებერვალს სარჩელით მიმართა --- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. დავა ეხება მასსა და --- შორის დადებული ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე დაკისრებული პირგასამტეხლოს გაუქმებას და ჩამოჭრილი თანხის დაბრუნებას. --- განმარტებით, პირგასამტეხლოს თანხა, 98 000 ლარის ოდენობით, მას დაეკისრა უკანონოდ, რადგან არ დაურღვევია ხელშეკრულება. გარდა ამისა, --- კომპანიის მიერ მისთვის მოთხოვნილი თანხის, 95 000 ლარის გადახდა მოუხდა საკუთარი სახსრებით, საცხოვრებელი ფართის გასხვისების შედეგად. იმის გამო, რომ მის სხვა უძრავ ქონებას ადევს ყადაღა, საჩივრის ავტორს აღარ რჩება საშუალება, რომ მისაღები სამუშაოებისთვის ჰქონდეს უზრუნველყოფის გარანტია და საავანსო გარანტიები, რის გამოც, მისი კომპანია ვერ იღებს მონაწილეობას გამოცხადებულ ტენდერებში და კომპანიის ისედაც მძიმე ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება. რადგან არ ხდება დავის დროულად გადაწყვეტა კომპანიას გაუჩნდა დავალიანება დაახლოებით 76 000 ლარის ოდენობით (ამ თანხიდან 40 000 არის სახელფასო დავალიანება). საჩივრის ავტორის განცხადებით, არსებობს საშიშროება იმისა, რომ კომპანია გაკოტრდება, ხოლო მისი ოჯახი დარჩება ქუჩაში.

საქმეზე მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა 2016 წლის აგვისტოში. საქმის განხილვა თავიდან დაიწყო მოსამართლე ---, რომელმაც საქმეზე ჩაატარა რამდენიმე სხდომა, თუმცა, საქმის განხილვის დასრულება ვერ მოახერხა და საქმე განსახილველად გადაეცა სხვა მოსამართლეს (მოსამართლე ---). --- 2017 წლის 18 მაისს განცხადებით მიმართა სასამართლოს, დეტალურად ჩამოაყალიბა მის წინაშე არსებული პრობლემები და მოითხოვა, საქმის განხილვის დაჩქარება. აღმაშფოთებელი იყო ის ფაქტი, რომ ამ განცხადების საპასუხოდ, საქმე ამჯერად უკვე მესამე მოსამართლეს, --- გადაეცა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლის მიერ დარღვეულია საქმის განხილვის ვადები და მის მიერ შეგნებულად, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, მოხდა საქმის განხილვის გაჭიანურება.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 03 თებერვალს --- ის წარმომადგენელმა, --- სარჩელით მიმართა --- საქალაქო სასამართლოს მოპასუხის, --- წინააღმდეგ და მოითხოვა, --- თვის დაკისრებული პირგასამტეხლოს (100 555 ლარის ოდენობით) გაუქმება, გადახდილი თანხის დაბრუნება და --- კომპანიისთვის გადახდილი თანხის (84 980 ლარის) დაბრუნება. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ---.

2016 წლის 23 თებერვალს --- მიერ წარმოდგენილ იქნა შესაგებელი.

2016 წლის 07 მარტის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა ჩაინიშნა 2016 წლის 27 მაისს.

2016 წლის 27 მაისი მოსამზადებელი სხდომა, იმისათვის, რომ მოპასუხეს მისცემოდა გონივრული ვადა, რათა გაცნობოდა წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ჩამოეყალიბებინა პოზიცია, ასევე, რათა მხარეებს შესაძლებლობა ჰქონოდათ დავა მორიგებით დაესრულებინათ, საქმის განხილვა გადაიდო 2016 წლის 06 ივნისს.

2016 წლის 27 მაისის სხდომაზე მოპასუხემ დააყენა შუამდგომლობა საქმის განხილვის შეჩერების თაობაზე იმ მიზეზით, რომ მოსარჩელის ე.წ. შავ სიაში შეყვანის საკითხთან დაკავშირებით, --- საქალაქო სასამართლოს --- საქმეთა კოლეგიაში მიმდინარეობდა დავა, რომლის შედეგსაც, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა --- სამართლებრივი დავისათვის.

2016 წლის 31 მაისს მოსარჩელის წარმომადგენელმა წარმოადგინა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა მოპასუხის შუამდგომლობას საქმის განხილვის შეჩერების თაობაზე. განცხადების ავტორის განმარტებით, კომპანიის ე.წ. „შავ სიაში“ შეყვანის საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ იყო დამოკიდებული იმის დადგენაზე, რამდენად საფუძვლიანი იყო მოსარჩელისათვის სამოქალაქო სამართლებრივი შინაარსის სარჩელში გათვალისწინებული თანხის მისი ანგარიშებიდან მოხსნა და შესაბამისად, იყო თუ არა სახეზე ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი. შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის დასრულების კუთხით, არსებითი იყო ჯერ სწორედ სამოქალაქო სამართლებრივი დავის დასრულება და არა პირიქით.

2016 წლის 06 ივნისის მოსამზადებელი სხდომა, იმის გამო, რომ მოსარჩელეს მიცემოდა შესაძლებლობა წარმოედგინა დაზუსტებული სარჩელი, გადაიდო 2016 წლის 18 ივლისს.

მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელი წარმოადგინა 2016 წლის 14 ივნისს. დაზუსტებული სარჩელის თანახმად, მოსარჩელე ითხოვდა --- თვის დაკისრებული პირგასამტეხლოს (98 000 ლარის ოდენობით) გაუქმებას, გადახდილი თანხის დაბრუნებას და --- კომპანიისთვის გადახდილი თანხის (94 464 ლარის) --- დაკისრებას.

2016 წლის 18 ივლისის სასამართლო სხდომა, მოპასუხის წარმომადგენლის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო, გადაიდო 2016 წლის 12 აგვისტოს. სხდომის გადადების შესახებ მხარეებს ეცნობათ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა 2016 წლის 12 აგვისტოს. აღნიშნულ სხდომაზე დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ. მოპასუხეს დოკუმენტების წარმოსადგენად განესაზღვრა 3 კვირიანი ვადა. შესაბამისად, საქმის განხილვა გადაიდო 2016 წლის 30 ნოემბერს.

2016 წლის 12 ოქტომბერს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ---. 2017 წლის 13 მარტს მოსარჩელემ წარმოადგინა შუამდგომლობა ექსპერტიზის შედეგების და წარმოდგენილი დოკუმენტების საქმეზე მტკიცებულებად დართვის თაობაზე.

2017 წლის 18 მაისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა მოსამართლეს და ითხოვა, რომ დაჩქარებულიყო საქმის განხილვა.

2017 წლის 24 ივნისს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ---.

2017 წლის 15 სექტემბერს მოსარჩელემ კიდევ ერთი განცხადებით მიმართა სასამართლოს და ისევ ითხოვა, დაჩქარებულიყო საქმის განხილვა.

2017 წლის 13 ოქტომბერს გააგრძელა საქმის განხილვა და ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა. დაკმაყოფილდა როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის შუამდგომლობა წარდგენილი მტკიცებულებების საქმეზე დართვის თაობაზე. რაც შეეხება შუამდგომლობას საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, მოპასუხის ეს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. საქმე მომზადებულად ჩაითვალა და მთავარი სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 22 ნოემბერს.

2017 წლის 22 ნოემბერს და 2017 წლის 06 დეკემბერს გაიმართა 2 სხდომა. 2017 წლის 06 დეკემბრის სხდომაზე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2017 წლის 29 დეკემბერს.

2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით --- ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, --- ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 98 000 ლარის ანაზღაურება.

2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება 2018 წლის 30 იანვარს სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ. სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული დავა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დასკვნის წარდგენის დროისთვისაც არ არის დასრულებული.

2.2. 2016 წლის მე-2 ნახევრის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე --- განსახილველად გადაცემული ქონდა დაახლოებით - 678 საქმე, დაასრულა - 250 საქმე (36.9%). 2017 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე --- განსახილველად გადაცემული ჰქონდა დაახლოებით - 1205 საქმე, დაასრულა - 930 საქმე (77.1%).

3. მოსამართლე --- ახსნა-განმარტება:

მოსამართლე --- მიერ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილია ახსნა-განმარტება, სადაც საქმის განხილვის გაჭიანურების ძირითად მიზეზად, მოსამართლე განსახილველ საქმეთა სიმრავლეს ასახელებს. კერძოდ, განმარტავს, რომ მას 2016 წლის 28 აპრილს უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო, შეუწყდა სამოსამართლეო უფლებამოსილება. 2016 წლის 25 ივლისიდან ის ისევ დაინიშნა მოსამართლედ. მისთვის საქმეების გასახილველად გადაცემა დაიწყო 2016 წლის აგვისტოს თვიდან. იმავე წლის ნოემბრის თვეში განსახილველად უკვე გადაცემული ქონდა 922 საქმე, რომელთაგანაც, დიდი ნაწილს შეადგენდა 2012-2014 წლის საქმეები. ამდენად, 2015-2016 წლის საქმეებთან შედარებით მოსამართლისათვის პრიორიტეტული იყო იმავე კატეგორიის ჯერ ძველი საქმეების განხილვა. --- აღნიშნავს, რომ მიუხედავად ამ გარემოებისა, 2016 წლის ბოლოსთვის მის მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 286 საქმე.

--- განმარტებით, 2016 წლის აგვისტოდან 2017 წლის ივნისის ჩათვლით განსახილველად გადაეცა 1072 სარჩელი. ამ საქმეებთან დაკავშირებით მოსამართლემ ჩაატარა 524 სხდომა და მიიღო 778 გადაწყვეტილება/განჩინება და ეს იმ ფონზე, რომ არ ყოფილა დარღვეული გადაწყვეტილების/განჩინების დაწერისა და ჩაბარების ვადები და წარმოებაში არსებულ საქმეთა რაოდენობა საშუალოდ 400 საქმეს შეადგენდა.

4. დისციპლინური დევნის შეწყვეტის სამართლებრივი დასაბუთება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა სახეზე იყოს მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის, „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების“ ფაქტს.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს, თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

ამდენად, მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ასევე ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე, მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

2016 წლის 12 ოქტომბრიდან 2017 წლის 19 ივნისამდე საქმეს განიხილავდა მოსამართლე ---. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისთვის საქმის გადაცემის დროისათვის, საქმის განხილვა მიმდინარეობდა 8 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. დარღვეული იყო არა მარტო სამოქალაქო საქმის განხილვისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული 2 თვიანი ვადა, არამედ ის 5 თვიანი ვადაც, რომელიც გათვალისწინებულია რთული კატეგორიის საქმეებისთვის.

არსებული მასალებით დასტურდება, რომ საქმეს --- განიხილავდა 8 თვის და 6 დღის განმავლობაში. სარჩელი ეხებოდა დაკისრებული პირგასამტეხლოს (100 555 ლარის ოდენობით) გაუქმებას, გადახდილი თანხის დაბრუნებას და --- კომპანიისთვის გადახდილი თანხის (84 980 ლარის) დაბრუნებას. მოსარჩელის შეხედულებით, მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრება მოხდა კანონის დარღვევით, რადგან სახეზე არ იყო პირგასამტეხლოს მხარისათვის დაკისრების საფუძველი, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა. როგორც მოსარჩელეს, ისე მოპასუხეს, წარმოდგენილი ჰქონდა მრავალი წერილობითი მტკიცებულება, ექსპერტიზის დასკვნა და სხვა სახის დოკუმენტები, რომელთა გაცნობაც მოსამართლის მხრიდან სპეციფიკური საკითხების ცოდნას და დიდ დროს მოითხოვდა. გარდა ამისა, საქმის განხილვის მსვლელობისას მოხდა სარჩელის დაზუსტება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე შეიძლება ჩაითვალოს რთული კატეგორიის საქმედ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლის ახსნა-განმარტების და მისი დატვირთულობის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება საქმის განხილვის განზრახ ბრალეულად გაჭიანურების შემთხვევა. არსებულ მოცემულობაში, საპროცესო ვადის დარღვევა განაპირობა მოსამართლის წარმოებაში არსებულმა საქმეთა სიმრავლემ და იმ ობიექტურმა ხელშემშლელმა გარემოებებმა, რაზედაც მოსამართლე ახსნა-განმარტებაში მიუთითებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებების, მოსამართლის ახსნა-განმარტების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების დროს, უპირველესად გაითვალისწინა მოსამართლის საქმეთა დატვირთვა, როგორც ობიექტური ხელშემშლელი გარემოება და 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრთაგან 12 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა) მიიღო გადაწყვეტილება, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის თაობაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

--- 2017 წლის 05 ივლისის --- საჩივრის საფუძველზე მოსამართლე --- მიმართ შეწყდეს დისციპლინური დევნა.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი